


ნახუნე

2

იანვარი

1987

ნ. ჯ. ლომუასი



საჭარბოს ხელმძღვანელია, ხარისხს დაადო ყადაღა!
 საჯაროობა უარყო, მფრთხალ თავდაჯერებას გადაწყვეა!
 სულ დაპირებებს იძლევა, ასრულებს არცა ხანდახან!
 ზის კაბინეტში, არ დადის დროის მოთხოვნის მხარდამხარ!
 ვერც გაფრთხილება უზველა, ვერც ბილი-პრესის მათრახება!
 საქმე ვერ მოაბრიალა!.. არ გამოუდის გარდაქმნა!
 სახელის გარდა, ყველაფერს იხვევს!.. მავრად ზამს, მავრად სვამს!
 ამიტომ უნდა დაჩქარდეს სხვა სკამზე მისი გადასმა!

სინსარბის მუდამ შია და სწყურია! — ადამიანს თუ ეს უნასი დაუპატრონა, მისი ცხოვრება ერთ გაბმულ წამებად, ომობას ფუსფუსად და ტუნების ლოკად იქცევა!.. მერედა, ეს რა იცის ამ ეშმაკის მოგონილება! მაშრიყ-მალრიბის მივლი სიმდიდრე წინ რომ დაუსვავო, ძლომას მაინც ვერ შოთიღებს, მაინც არ დაუშოკლდება მუდამ მოსანუკვად გასვდილი ხელი!..

რამდენი ოჯახი აატრია სინდისის ამ მეკორემი!.. ძმად და შვილო, სახელმწიფოს ჯიბეში ჩრჩილივით რომ ჩამძვრალხარ, თავფენიანად რომ ჩაყარავეშულხარ, ვინ გაპატოებს?! კო, ბატონო, დღეს კარგად ხარ, მსუქანი ცოლ-შვილი თვალში აღარ გეტევა, დაგვიწყებია, ამქვეყნად ნატვრა თუ აღსებობს, მაგრამ კარზე სამართალი რომ მოგიკაკუნებს, მაშინ რაღას იხამ? ნუგბარსა და ნოყიერს შეწვეული როგორ აიტან მუსხუდოს წყნანსა და გახულებულ კუჭის მოსათიანიერებელ ულუფას ან ოჯახს რაღას გაშოსძახებ, წლების იქით გადაკარგული? შეიღებს რას დაუბარებ? იმის ფასი რა მივიცი, რაც წართვი? უქმრო ცოლი წაქცეული ვახია, უმამო ბავშვი უნიჩმო ნავია ამ ჩვენს რთულ, ადიდებულსა და ბოზოქარ ცხოვრებაში!..

მართლაც, აბა, გარშემო მიმოვიხედოთ! — ყელწერილი ინტელიგენტი ძვირსა და კარგს სამოსისის აკრძალული სიღივით შორს რატომ ურბენს, ან შენ რომელი ღვთის ნათლული ხარ? ეს რა მეწველი ჯიბე გაქვს, რომ არაფერს იკლებ — ფიცხვარივით რბილად დაბიჯებ მაღალ ხალიჩაზე, მსუქანი ტანის კისერს ძლივს აბრუნებ, ლამის შე-



ფის აგარაკი, ლამის სასახლე, ლამის კუჭვირის ემირის სტაჟრა-ოქსინო — ყველაფერი შენა და სხვა რაში გენადლეუბა?!

„ზოგი ბედაური, ზოგი თოსნარკი და ზოგიც უკან მაჩანჩალაო! ეს ცხოვრება მოსწრებაზე, სელხავიან წაღვეჯაზეა, თორემ ღარიბმა პატიოსნებამ ვინ გააძღო, ვინ დასვა მაღალზე, ვის გაუმალა წინ თვალ-მარგალიტი? — არავის! კეთილმინდისიერება, გელფასის კაცობა, ეს რაღაც ღირსების გრძობა უშნო და უუნარო ღარიბის მოგონილია, სახელმწიფოს მიერ გადმოყრილი სატყუარია და მარტო სულელი თუ წამოკენკავს — ალალი!.. ალალი!.. შეარგოთ და მოახმაროთ!.. მეტის ღირსნი არ არიან!.. ყველას თავისი პქონდე! — აბა, ვის უკვირს, საჭურისი სატრფიალო ლექსებს რატომ არა წერს, კუ რატომ არ დაფრინავს და მგელი რატომ მგლობს ცნვრის მსუქან ფარას!“ — აი, შენი „ფილოსოფია“!

მაგრამ გავიწყდება, რომ უბრომელი შემოსავალი ჭრახანის თაფლია, სელისგულზე ამოსული ჭინჭარია!.. ამ ჭოპობა შეტყუება იცის!.. ვინ გაუბედნიერებია საბოლოოდ ოქროს ალურსს, ვერცხლის ცივირ ღიმილს, სამალავი სელის კანკალით შეყრდილ ფულის დასტებს და ბრილიანტის ცივ მზერას? — არავინ! ადრე თუ გვიან საკუთარი სიმდიდრე გაგვიდის, გაგალბაკებს, სულს მოგიწამლავს და დაგვინებს!..

ასეა: რაც არ გერება, როგორ შეგერგოს?! ისე არავინ გამიგოს, თითქოს სიღარიბემ გამომგზავნა ამ წერილის დასაწერად. რა

თქმა უნდა, ადამიანს ნორმალური ყოფის პირობები უნდა პქონდეს, მაგრამ ეს ყველაფერი შრომამ უნდა მიუზიდოს საკუთარი შურით, ნაჭურდლის სუნი არ უნდა დაიკრას, თეთრი სინდისი არ უნდა გაუშავდეს მის პატრონს!..

ახლა წმიდად გვესმის განზე სელეგამილილი სიტყვა — „ს ა ი დ ა ნ!“

ეს ყასაბი უცხოური მარჯის მანქანით დასრიალებს, „ღებლიონკაში“ ჩათბუნებულა, კეისარივით ცნობრობს ზე ცხვრის ტვინი კი უღვევს თავში!.. საიდან?!

დალოცვილო, წარმოების დირექტორი ხარ, მოსოპოლისტი ხომ არა? ჩემსავით ვითომ სელფასის კაცო, საიდან ეს თვალის გამრყენელი ფუფუნება?! ნუთუ არ გესმის? — უბრომელი შემოსავალი ის ლუკმაა, რომელიც ადრე თუ გვიან ყელზე დაგადება, გაგებრავს და დაგახრბობს! ეს იმიტომ, რომ ქურდი ხარ, გაუმაძღარი ჩრჩილი, ერის მფუთქავ ძარღვს დაწაფებული წურბეღალა!.. შენი ცხოვრებაც ერთი გამბულ-გახლართული აბლაბუდაა, სადაც ობობასავით ჩამალულხარ და ჩამყდრობებულხარ! გეფიქრა მაინც, ის როგორ არის, ვისაც ფეჭები და ატყავებ, ვინც პატიოსანი სელფასით ცხოვრობს? მეტი არ იყო ჩემი მეტრო, ამისთვის თარი შეიწუხო! შენ რომ ბედის ნებთერი ხარ, პოფესიონალი მყლაპავი, საზოგადოების სსეულზე ამოლოდებული მშვიერი ფითრი!.. შენ ღარიბი ფილოსოფია გაქვს და მეტის ცოდნა არ გინდა! — ადამიანი ამქვეყნად ერთხელ მოდის, ერთხელ სარჯავს თავის წილ მზეს და არაფერი არ უნდა მოიკლოს, უნდა ჭამოს, ცოხნოს, მოიბაცოს, გაკრიჭოს და გააბაროს!.. პატიოსნება ცხოვრებისაგან წინლნაკრავის მოგონილია, უუნაროს ებედობაა და ამ უუემურ სატყუარს რატომ გაეკარება? — ასეთი ხარ!.. და რა ვუთხრა მაღლსა ერისას, რომ მაინც კაცის სახელიც გაქვს, გვარიც და გარეგნობაც, თუმცა შენი სუთქვა პაერს ახმობს, რადგან სანაგვესავით ყარხარ, ებავ მშენიერი ბოყინით თავმომწონე! ნამრომ-ნაჯაფი სახელი ერის დიდება, ვაზის გალობა და „მრავალმადიანია“, მაგრამ რამდენი დადის ცრუ წოდებით, უბრომელი ხარისხით, კუდიო მოთრეული დიდებით! — რამდენი გყავს ასეთი უღირსი, უძღები შეილი, საქართველო?!

— მტკრიანი კრიპრისტი, მრუდე კაცი, იმ თავისი ჩაქიშიშეშებული ღიმილით, ვითომ საქმიანობით, მაგრამ ჭეშმარიტად ცარიელი გულით, მკვლე ცოდნითა და სიტყვით!.. რაღა შორს წავიდე, ამას წინათ ისეთი სუსნიანი წერილი წავიკითხე ზოგიერთ ვაი-უქიშე, გათოშილი წამოდექი. ამას ვერ და კლამი მიტირის, გონზე ვერ მოვსულვარ, ბუდიდან გადმოყრილი გული ვერ დამიწყნარებია!.. რა ყვავილა დასწავლა შენს დაბადებას, რა პურმა და წყალმა გაგზარდა, რა „იანანა“ დაკენესოდა შენს აკვანს, რა ადამიანი ხარ, რა სატანად მოგანთლა და, ბოლოს, რა ექიმი ხარ, რომ ბავშვს, პატარა ერისთვის ცით ნაჩუქარ ანგელოზს, ჩვენი მომავლის მწვანე შტოს ყლორტშივე ტებს, უყურადღებობით კლავ, ქართველ დედის ტუტეს უსწმო, თვალებს უვიკვებ, კალთას ულანძღავ მხოლოდ იმიტომ, რომ შენი ყოველი საბიჯი, სელის ყოველი განძრევა ფული ღირდეს!.. ჩემი ნება და საკითხავი რომ იყოს, ინკვისიტორად ვიქცეოდი და ცეცხლის ალს აუბრტყებინებდი მაღლა უსინდისობად უჯრზე გადამჯდარ ასეთ, უკაცრავად პასუხია, „ექიმს!“ სასული როგორ მისვედი იმ დამეს, პური როგორ გატეხე,

ამ ვრემლიანი წერილის იეთრსალათიანო ჯალათო?! დიან, ცხოვრების ბევრ სფეროში შემოგვეპარა თუ შემოგვივარდა ანგარება! აუცილებელი არ არის, სული სახელმწიფოს ჯიბეში გედოს!.. იქნებ თვითონ სულ თავანკარა პატიოსნება, სულ სავეთავთავი და ანკარა კაცი ხარ, მაგრამ, როცა წლობით ნაგროვებ ავტორიტეტს შენიანს რბილ ხალიჩასავით დაუფენ სოლმე ქვეშ, რომ იგორაოს, იკორიალოს და ინეზიგროს, ამას რა შქვია კარგი ქართული?! თუ ერისკაცი ხარ, რატომ ფართოდ არ მოატარებ თვალს — იქნებ შენს შვილზე, შენს ნათესავსა და ახლოებულზე ღირსეული უფრო გამოადგეს ქვეყნის აწმყოს?! ეს ვისი შეიღები დახარხარებენ და დაჯირობენ ქალაქში თუ სოფლად?! გეტყვი: იმ შობლებისა, ვინც თავიანთ ქონებას, სახელსა და თანამდებობას ზედ აბურტყავს საკუთარ ქონში შეტურებულ, ახალგაზრდობის მუდამ მძოველსა და არა მსვენელ-მუსჯელ ნაწილს!..

იქნებ სიმართლე შორს მოვიხროლე და ტყუილს ვწერ?! — არა მგონია!.. პარტია და მთავრობა ვეღარ მოითმენენ ასეთ უსახურობას!.. ალალი შრომა მარტო მარჯვნის ზეიმი არ არის! — ადამიანის ამქვეყნად ყოფნის აზრია, პრომოტოს ცეცხლია, მსსმოიარე სულის მშვენიერებაა. და თუ შეიღებს სამშობლოსგან ნალოცი ასეთი ლუკმით ზრდი, შეუძლებელია, მათგან მართლა მოქალაქე არ დადგეს!..

რა ძველი ჭეშმარიტებაა, მაგრამ როგორ დავიწყებული ზოგიერთისთვის!.. ამას ვეღარ მოვითმენ! ნუ მოვითმენოთ, თორემ ფეხს აიდგამენ ობელისკები, რათა გრანიტის ნაბიჯქვეშ გამოხრისონ ყველა, ვინც კომუნისტის, საბჭოთა მოქალაქის სახელს ასურდავებს და ითვლის!..

ვერ მოვითმენოთ, როცა მექრთამე მექრთამეს ასამართლებს, მუნჯი მუნჯს მვეკრმეტყველების გაკვეთილს უტარებს და კარიერისტი თავმდაბლობაზე საუბრობს, როცა ტრიბუნაზე ფაქტობრივად არაფრის-მითქმელი სველი ენა ჰკიდი!..

გაისსენე ისტორია! — ლენინის კაბინეტში შიშშილით გული წაუვიდა ახალგაზრდა რესპუბლიკის სურსათის კომისარს!.. რა არის ეს? — ფანტიზმი? შეიცილთა თავანწირვა? — არც ერთი და არც მეორე! — ეს სულის ამონათობაა, მაღალი მოგალეობის შეგნებაა, მოქალაქეობრიობა!.. ვინ არის უბრომლად მცხოვრები?

არა, მას გადაჭრილი შამსანა არ უჭირავს, არც დენიკინელის შინელი აცვია, არ სმეურობს, არ ისვრის, ჩვენს დღევანდლობას იუდენიჩივით არ უღრენს, პირიქით, სმამალა ბზუის — იქნებ ვინმეს ფურკაცი ეგონოს! მტრედის უწყინარი ღულუნით სვდება მზეს, მაგრამ რწყენის საშიში მღრღნელი, საზოგადოების გამწრწელი ბაცილაა, და ამიტომ ყველა დენიკინზე, ყველა იუდენიჩზე, ყველა ბინტურსა და უსენებულზე საშიშია!

კარგი ცხოვრება ჩვენი მიზანია! — ამისთვის ვიბრძვი!.. ამისთვის იბადება ყოველი ახალი დღე ჩვენს ვრცელ ქვეყანაში, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, რომ კომუნისმი ცხელი ფაფა არ არის, მიიღვა და კოვზი გაასარო! კავობრიობის ოცნების ამ ტაძარს სვეტებად პატიოსნება, შრომა და პუმანიზმი ექნება, ამიტომ ქაფის მოხდა ამ ჩვენს მღულად მომავალს დღესვე სჭირდება! — უნდა შევანგინოთ, ვისაც ვერ არს, რომ ხალხის ჯიბეში სელის ფათური კარგს არაფერს მოუტანს, რომ თანამდებობის პირი,

ვინც უნდა იყოს ის, უწინარეს ყოვლისა სალსისავე მსახურია და არა გასასუქებლად მაგაზე მიბმული კურტი! ასეთია მისი აღმატებულება — ჰუმბარტება! ასე ფიქრობს ხალხი! მე ოფელს ვღვრი, ტანფეხიანად შრომაში ვარ, შენ კი იმ მსუბუქფეხიანად სამსახურში წინ ისეთი რა ნატერისთავალი გიგორაუკ, რომ სვეტა და აღარ თავდება?! საიდან, ძმაო და შეგობარო?! ვიცი, საიდან, ვიცი! — პროფილაქტორიუმში მანქანის შეყვანისას წინდაწინ მაკანკალებს: ისე პირწმინდად გაგპარსავენ და გაგატყავებენ, შინ ვეღარ ვიცი... დასლისქვეშეთში არ მიმოვხაური, თორემ ალბათ დავიჯერებდი, რომ კარგი და საუკეთესო თაროებზე ერთობ მოიწყნებს ხოლმე.. ან რა ჯიბე უნდა გეპაროს, რესტორანში შესვლიდან?.. მოკლე, დადისარ ამ ჩვენს დალოცვილ საქართველოში და თავი მეწველი ძროხა გგონია: ყველა ცურზე გაიდიო, ყველა რაღაც გათლისს..

აი, საიდან აქვს ზოგიერთს ის, რაც მე და შენ არა გვაქვს!.. რა უშველება ამას?

— არაფერი! — მიპასუხა ერთმა ნაცნობმა, — ჯერ კახელი ხაშლამას გადააჩივო და მერე ამის გამოსწორება თქვი!..

დიან, არის სკეპტიციზმი, უიმედობა, გულგატეხილობა!.. და არც საკვირველია, როცა სიმურალე და სინბნებურ ზოგჯერ მადლიდანაც ცვივა, როცა მინისტრი ცინის კარებს შეაღებს ან მასზე უფრო დიდი და მეტი უძლომელობის მსხვერპლი გასდება!..

უმაღლესი სკოლის პედაგოგი ვარ და, ამგვარად, საქმეში ჩახედული: რომელია ჩვენს მზით სავსე უნივერსიტეტში ყველაზე პრესტიჟული ფაკულტეტი? — იურიდიული! ადრე სამართლებრივი განათლება ჰუმბარტი ინტელექტუალის, სულიერი დასვენების, ინტერესთა მრავალმხრივობის სინონიმი იყო, მაგრამ, აბა, ახლა იკითხე, რამდენი სწავლობს იურისპრუდენციას ისეთი, ციციური და ციციური ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია და კოდალამ რომ შუბლზე ნისკარტი ჰკრას, ცარიელი ფულურის წმა გამოვარდება ვართო! კი, ბატონო, გაბერწდა დრო და ნუ მოვითხოვთ ლუარსაზ ანდრონიკაშვილობას, ოსიკო აბაშიძეობას, მაგრამ ის მანც ვკითხოთ, ზოგიერთები ამ ფაკულტეტზე რისთვის ან როგორ შევივდნენ, რა უნდათ, რა სწყურიათ? მოგახსენებთ: ძალაუფლება, სხვისი ბედის განსჯა-განგება, მატერიალური კეთილდღეობა! — აი, რისთვის არის აქ ეს ზოგიერთი გაზუ-ლუქებული მომავალი შერლოკი!.. როცა ასეთი კადრის მღვრივ ნაკადი შევრევა სამართლის დამცველთა კოორტას, იქ მტყუანს მართალი პქვია და მართლს — მტყუანნი, რადგან არაფერია იმაზე უფრო საშიში, ვიდრე ის, რომ ძალაუფლება ხელში ჩაუვარდეს ტლანქი სულის, ბუსხეთი შორს-მსვლელს, ანგარებიან ადამიანს!.. იქნებ ვინმე შედაგება? ვაჭარებ? ინებეთ ფაქტები: განა იურისტის ხელფასს სხვა ყუთით აქვს ან სხვა მაზანდა ადგავს? თუ ასე არ არის, მაშ საიდან ეს შემოდგომის მაჩვენებელით გაკეთებული ზოგი გამოძიებელი და უსამართლო მოსამართლე? თვალში გვაქვს აჭერლებული პრესის ცნობები, რომ არცთუ იშვიათ შემთხვევაში სამართლის ვითომ დამცველი განვტვ ხლართავს ძიებას, ხელისგულქვეშ მალავს ამკარა დამანაშავეს, თვალს უხუჭავს ფაქტებს, ხოლო ზოგ შემთხვევაში „გულმორწყალი“ მოსამართლეს

ფრიად ლომობიერი განაწინი გამოაქვს ხოლმე!..

ვინ დაიჯერებს, რომ ასეთი მხარნაქვევი იურისტი პირწმინდა საკუთარ სინდისთან და უშრომელი შემოსავალი მისთვის თეთრი კამეჩია?!

პარტია გარდაქმნიდან, დაჩქარებისაკენ მოგვიწოდებს! — კმარა სალონური რვევრანსები ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას!.. სათქმელი პირდაპირ ითქვას!.. საგანგაშო ის არის, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი შეეჩვია ცხოვრების, ვიტყოფდი, არასოციალისტურ, არაპუმანურ წესს — ზემოთ თუ მტაცებელ არწივებსა და ძერბზე მოგახსენებდით, ახლა სიტყვა ჩამოვადლოთ ჭილაყავებზეც, ანუ ვაჭრობის მუშაკთა ერთ ნაწილზე!.. აბა, რა ქართველი ხარ, რა თბილისელი, რაღაც 30, 40 კაპიკი ხურდა თუ მოითხოვე? შეგირცხვა უღვაშის ფოჩი და ღერი!.. ეს არის შენი ქართველი გულსეობა?! მათოვარი ყოფილხარ, შინს გური, თორემ ასე არ დაწერილმანდებოდი!.. — აი, რას წაიკითხავ ზოგი გამიყდევლისა და მოქალაქის თვლებში!.. მაინც რამდენის ხარკი გვადევს, რამდენის ვალი გვაძმიებებს?! — დღეპტორს მოითხოვ და პასუხიც ხელისგულზე უდევს: — ეს საქონელი, ბატონო, ციდან არ ჩამოყრილა!.. რომ მოგვეყენ, უნდა მივცეთ, თქვენ კი რაღაც პრეტენზიას აცხადებთ, თითქოს არ იცოდეთ, ჩვენში როგორ ხდება!..

რალას იტყვი? ერთი ცხარივით უნდა დაიბლავლო და გაჩუმდე!..

კიდევ რამდენი საფიქრალი ადგვიძრა ამ წყეულმა უშრომელმა შემოსავალმა! — ერთხელ, ერთ თბილისურ დღეს, ტაქსში ჩაჯექი. — მართო მოიწყენო! — მითხრა კოლექტივიზმის პრინციპის ერთგულმა მძღოლმა და, არ ვიცი, ოთხი ქალი და ერთი ბავშვი როგორ ჩაჭვდა სავარძელზე!.. მხიარული კამპანია გამოგვივიდა, მაგრამ შეწუხებული ბავშვი ვაჭირვეულა და მთელი გზა სულ ჭიანურითა და დეფა-ზურნით ვიარეთ!.. მივიხველვე 80 კაპიკი იჯდა, როცა ერთმა მანდილოსანმა თავს უშველა — მანქანა გააჩერებინა და მძღოლს მანეთი გაუწოდა!..

— ეს რა არის? — ავტორიტეტულად იკითხა მძღოლმა.

— ფულია! — მშვიდად მიუგო მანდილოსანმა, — სხვათა შორის, საბარგულიდან ბარკის გადმარებაც თქვენი მოვალეობაა!.. მერე რა იყო, ამის გახსენებით აღარ შეგაწუნებთ, მკითხველი! მძღოლი ვულკანითობოქრობდა, დულდა და იმის მოწმე გავლდი, ამ ბოლო ხანს როგორ გამდიდრებულა გინების რეპერტუარი ჩვენს ქალაქში!..

მკაცრმა მითითებამ სხვა ტალღაზე გადაიყვანა ის ჩვენი მაწამებელი:

— ოც კაპიკზე ლაპარაკობს! — არ ცხრებოდა მძღოლი, — გარაქში შესვლა — მანეთი! დისპეტერს — ორი მანეთი! რემონტიორს — ხუთი მანეთი! ბრიგადირს!.. ცვლის უფროსს!.. მერე ნაწილები? რემონტი?

— საწყალი თქვენი ატეკის უფროსი! — გამეღიმა მე.

— მაშ, მაშ!.. საწყალი!.. მილიონერია!..

— როგორ, კაცო?!

— ისე, ჩვენებურად! — ამისხნა მძღოლმა.

— რატომ არ მოითხოვთ, რომ ნაწილები საწყობიდან მოგვეცე? რომ გვეყენინოთ?!

— კარგი, რა!.. რატომ აგუჯავრ? — შემომხედა მძღოლმა, — ვითომ არ იცი!

ასეთია უშრომელი შემოსავლის სტრუქტურა, მორალური სახე და მეთოდი!.. ჩვენი ცხოვრების გარდაქმნა-გადასალი-სება პრაქტიკამ უნდა თქვას! — ეს ჩვენს მომავალს სჭირდება! პატროსანი მშრომელის მარჯვენა უნდა შეუდგეს სვეტად ხვალისდღელ დღეს! ფულზე გადაზრდავებული კაცი აღარ არის მოქალაქე, ამხანაგი, სა-

ზოგადოების წევრი! — გზაზე დაფუნილი ძეძვი, ვრის ტკივილია, სულის სიმძივინა!

ადამიანის თვალში მსუბუქად ჩაიძირება ცისა და მიწის სიმდიდრე!.. აი, ეს არაა მკაცრის თვის გული ერთხელ ადევსოც, რაც მივლის ერთხელ ნატერით, ის უკმაროს? — ვისხენებ ბართაშვილს და შესმის ზოგიერთის სნამალდი პროტესტი: — მაშ, რა ვქნა? ჩელფისი არ მყოფის, ბაზრის კართან მახრბოვლა გველივით წევს სიძვირე, ყველგან ფულია საჭირო, ხარჯი და ბორჯი!..

არ უარვეყოფ — პრობლემები გვაქვს, მაგრამ განა ამის მიზეზი სულ ჩვენს გარეთ ძეკს? ერთად დავივცით ის პრივილეგიები, რაც სოციალიზმმა, ჩვენი ცხოვრების წესმა მოგვანიჭა და ხელფასი ვეყოფი! აბა, რა ჯიბე გავწვდებ, როცა ამდენი გვარცხავს, გვლევს და გვიწინს? საზოგადოება უნდა აღდგეს ყოველივე ამის წინააღმდეგ! —

— ეს ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა! ესეც არის, ვისაც შეველდმერთობასთან ბრძოლა ვვალდება, ბლავკი მახელი არ უნდა ვხსნულხე!.. რასაც ხალხი ხვდავს, იმას რატომ ვერ ამჩნევნი? — ბაზარში ჩასასლებულ სპეკულანტს, ბაზაში მოკალათებულ საქმოსანს, სხვათა და სხვათა!.. აქაც რვევრანის გარეშე ვიტყვი, რაც სხვისგან გამივინია: — ხელი ხელსა მპანსო!..



დიან, ყველაფერს კადრულობს ზოგიერთი, ოღონდ შეიძინოს, იყიდოს, შთანთქას და კმაყოფილმა ამთქნაროს!.. ვინ იცის, სადამდე მიიყვანს ცხოვრების ასეთი წესი ადამიანს, რა სისაძაგლის მსახურად არ გასდის!.. პოი, ცოდვილო, აბა, რა სულდიდობა მოგვეკითხება, როცა საწამლავით — ნარკოტიკებით ვაჭრობ, ახალგაზრდობას რყენი, ჯეჯილს უთიბავ, სულს უხმობ საქართველოს, რეტიანი მორფითა და ნაბიჯდასლართული ანა-მით აბრუებ!.. შენს ხელებს სიკვდილის სუნი უდის, ამიტომ შენი სახელი და გვარი ხალხის სიძულვილის საკრეში უნდა ჩაიწვას და ჩაიბუკოს!.. რა გენაღვლება, თუ ცოდვის შვილებით აივსება სამშობიარო სახლები, ასობით სიცოცხლე ზამთრის მზე-სავით ნაადრევად ჩავსვენება? — მთავარია, ჯიბეში ფული ჩაიფინო, არამი ლუკმა შეიტანო ოჯახში!.. გიფიქრა კი, რანი გამოვლენ ასეთი ლეშით ნაკვები შენი შეილები? ამიტომ დანდობა არა გავქვს. ამიტომ მაგრად შეკრულ მუშტზე გვიზიხარ და საქართველოში ადგილს ვერ იპოვი, შენი წყველა არ ამოიძახოს!..

ვინა ხარ? — ჯალალედინის ნაბუშარი, სამშობლოს ზურგში მოქნეული დანა, მავენ, მოხეტიალე არამზადა!..

შენს მონაგებს მარტო უშრომელი შემოსავალი არ თქმის: ეს ღალატია — შეუნდობელი, საზარელი!..

დაბოლოს: აღკვეთოთ მავანის თავდასული პატივმოყვარეობა, ამბიციურობა, თორემ რას პგავს?! — სამეცნიერო წოდებას იწერს კაცი, ვისაც ეს წოდება არა აქვს, ან კიდევ არარსებული პრემიის ლაურეატად ასაღებს თავს!.. ამის ფაქტებიც ამორტივიებულია ჩვენს ცხოვრებაში!.. და თუ ამ წერილმა ბერიკასავით ჩამოიარა და ნაკლს წკაპლა დაუშინა, ნურავის ეწყინება, რადგან ჩვენ ნაკლის აღმოფხვრას ვისხანათ მიზნად!

ანტიპოდებისგან ინტერვიუს ალება
წელს იყო უფრო ადვილი! —
თვითონ მომაკითხეს, მოვიდნენ,
ვით მეგობრები ნამდვილი!
— ახალ წელიწადს ვისა აქვს
საჭოჭმანო და სადავო?!
რაც გინდა, გვკითხე, ყველანი
საპასუხოდ ვართ მზადა!

ინტერვიუ „კანონიერ“
ქურდთან

— ამ საახალწლოდ რას ფიქრობ,
ახალ წელს მშვიდად თუ სვდები?
— აფსუს, რა „თბილად“ ვიყავით
„კანონიერი“ ქურდები!..
მაგრამ ბოლო დროს კანონმა
გვიცვალა გულიც, იერიც,
ჩვენც კანონს დავემორჩილეთ
ქურდები „კანონიერი“!
დავრწმუნდით, ფონს ვეღარ გავალთ
მრუდობით, „გაიმასქნებით“,
სასინანულოდ გვეყოფა,
რაც დავაშავეთ, რაც ვქენით!
დღეიდან შრომის ფერხულში
მეც ვდგები სხვების მხარდამხარ,
რომ აღარ ეზარებოდეს
მშრომელ კაცს ჩემი დანახვა!
— ვერე ქენ, სწორ გზას დაადექ,
არაკაცობა გეყოფა!
უთავობა სჯობს, თუ თავი
ქვეყნად არ გამოგეყოფა!

ინტერვიუ უშრომელი
შემოსავლის გაძიებალთან

— როგორ შეხვდები ახალ წელს,
ახალ კლიმატს და ჰავას,
კვლავ მგლური გეშით ეძიებ
უშრომელ შემოსავალს?
— არა! წელს მინდა შევცვალო

ჯისკუკ
სახალწლო
ინტერვიუები


ცხოვრების გზა-სავალი,
უშრომელ შემოსავალს
დიდი აქვს გასავალიც!
მძარცველს მძარცველი მძარცვავს
და ცრუს ცრუ მიდგას უკან,
მტაცებელს მტაცებელი
პირიდან მტაცებს ლუკმას!
ვარ გაწამაწიაში,
გასავალი მაქვს ბლომად!..
უშრომელ შემოსავალს
ზოგჯერ სჭირდება შრომაც,
სჭირდება თაღლითობა
და გველის სვრელში ძრომა,
შუბლის სქელ კანზე — ოფლი,
სირბილი, ფეხზე დგომა,
მგზავრობა, მისვლა-მოსვლა,
შიში და გულის კრთომა,
სინდისზე გადაბიჯება,
ნამუსზე გადასტომა!..
ტფუ, გულის გაუმაძღრობას
და აღუვსებელ სურვილს!
ამგვარ ცხოვრებას სჯობია,
მგელივით გაგძვრეს სული!
— მეც ვგ მინდოდა მეთქვა,
შენ გაგახაროს ღმერთმა!

— მეკვლე სულ მალე განდევნა,
სუფრა სალხინოდ კაშკაშებს!..
რას იზამ ახლა?! ამ წელსაც
მრავლად დანესტრავ ქალ-ვაჟებს?
შნამს მისხალ-მისხალ გაყიდი,
შპრიცის სალბუნს და სალესავს,
დედებს აუწვავ ძუძუმკერდს,
გულს აუტირებ მამებსა?!
— ოჰ, არა! ახლა ძალიან
ჭირს გაძრომ-გამოძრომანი,
ხაფანგში რომ არ გავება,
ჩავისზე ფულის ნდომანი!
დღეიდან ვივლი შრომის გზით,
ნათელი ფიქრით, აზრითა!
— ჩვენც, აბა, მეტი რა გვინდა?!
არ გადუხვიო ამ გზიდან!


ინტერვიუ აპორტაზართან

— ახალი წელი შემოდის,
ძველი კი თითქმის გაგვმორდა.
ერის მომავალს ალბათ კვლავ
ამოგლეჯ ქალთა საშოდან?
— აჰ, ღმერთმა ნუ ქნას! სახეზე
ამდის სირცხვილის აღმური,
თუმნიანებზე გავცვალე
იმედი დედულ-მამულის!
ბევრი კოკორი ჩავაჭკნე,
ფესვი ჩავჭერი მრავალი,
იქნება შოთა მოვკალი,
ან ვაჟა, ცოტნე, თამარი?!
სული დამძიმდა ცოდვებით,
როგორ ვიწამლო, არ ვიცო,
ამიერიდან ბავშვების
სიყვარულს გულში ავიცრი!
დასაბადებელს ვუშველი,
მზეს დავანახებ ბრიალას!
დაბადებულსაც მივხედავ,
ვასარებ მშობლებიანა!
— ახლა მოსულხარ ჭკუაზე,
იყავ, იცხოვრე სულ ასე!

ნახ. მ. აბაშიძისა



ზოგიერთ საწარმოში
ასე იწყება სამუშაო დღე
და ასე მთავრდება!..



უსიტყვოდ

ზუღღამე კარგა ხნის გადასული იყო, დუშეთის რაიონის სოფელ აბანოსხეველმა მალხაზ აფციანურმა და თამაზ მწითურმა სახელდახლოდ გაწყობილ სუფრასთან ორი ლიტრი შინახადი არაყი რომ გამოცალეს. უკვე კარგად შეზარხოშებული აფციური წამოდგა და თანამესუფრეს ანიშნა, წასვლის დროა!

— თითო ჭიქაც დავლიოთ, ჩემო მალხაზ, და მერე თუნდაც ჯოჯოხეთში წამოგყვები!

— გვეყოფა! ახლა — „საქმე“!

— თუ ჩემი ძმა ხარ, უარი არ მითხრა, სწორედ მაგ ჩვენი „საქმის“ კეთილად დამთავრებას გაუმარჯოს! — დაიქინა თამაზ მწითურმა.

— ამაზე უარის თქმა მართლაც არ ეგების! აგრე იყოს!.. — მიუჭახუნა ჭიქა მალხაზმა.

ამ ფრიად მნიშვნელოვანი სადღეგრძელოს დაღვეისთანავე ძმაკაცები მაგიდიდან წამოდგნენ და თანასოფელელის გურამ გვაზავას სააგარაკო ბინის გასაქურდად გასწიეს. სახლის პატრონები შინ რომ არ იყვნენ, ეს წინასწარ იცოდნენ და უშიშრად მიუახლოვდნენ ჭიშკარს.

აფციურმა, სიმთვრალის მიუხედავად, ისე მარჯვედ და მოხერხებულად გახსნა კარის საკეტი, ეტყობოდა, ასეთი რამ მისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო!..

პირველი, რაც თვალში მოუვიდათ

ქურდს რა უნდა...

ფელეტონი

გვაზავას ბინაში ავი განზრახვით მისულ „სტუმრებს“, 350 მანეთად ღირებული გერმანული ფაიფურის ჩაის 12-კაციანი სერვიზი იყო.

— ნახე, ბიჭო, ეს სერვიზი პირდაპირ ჩვენთვის გაუმზადებიათ ყუთით, ჩალაგებაზე დრო რომ არ დაგვეკარგა!

— სულ ახალთახალია! არც უხმარიათ!

— ჩემო მალხაზ, ამ სანადირო თოფს მე აქ არ დავტოვებ, უცხოურია თანაც, კაი ფასად გავყიდით!

— არც ეს მამაკაცის ბაილონის პერანგები და კრივის ხელთათმანებია დასაწუნი!

— ხომ იცი, ახლა წიგნებსაც კარგი ფასი აქვს, ეს ენციკლოპედიის ტომეულებიც წავიღოთ!

ლამის „სტუმრებმა“ ბოლოს 50 მანეთად ღირებული სათევზაო ბადე, სურათების ალბომი და უქარქაშო ხანჯალიც გააყოლეს ხელს. სულ 837 მანეთის ღირებულების ნივთე-

ბი გაიტანეს გურამ გვაზავას სახლიდან და სიბნელეში გაუჩინარდნენ.

ნადავლი ძმურად გაიყვეს: თოფი, ხანჯალი, და ბადე თამაზ მწითურმა წაიღო, ქურტელი, წიგნები და დანარჩენი ნივთები — მალხაზ აფციანურმა.

სულ მალე ჯერ ჩაის სერვიზი გაყიდეს თბილისში 160 მანეთად, შემდეგ სხვა ნივთებიც მიაყოლეს, რა თქმა უნდა, ისიც ნახევარ ფასად.

მეორე დღეს მეზობლებმა გვაზავას სახლის კარი ღია რომ დაინახეს, დაქვდნენ, შეიხედეს და გაქურდული დახვდათ.

ამ ამბის შემდეგ საკმაო დრო გავიდა. ღამის სიბნელეს ამოფარებულ ავკაცებს თავი უკვე გადარჩენილად მიაჩნდათ, მაგრამ რომ აღარც კი მოელოდნენ, სწორედ მაშინ დააკავეს მილიციის მუშაკებმა.


სასამართლოზე უნამუსოდ იცრუეს, მხოლოდ სერვიზი, თოფი და ხანჯალი წამოვიდნენ და ისიც სიმთვრალეში შეეცდითო.

სიმთვრალემ რომ კიდევ უფრო დაამძიმა მათი დანაშაული, ამაში მაშინ დარწმუნდნენ, როცა დუშეთის რაიონის სახალხო სასამართლომ, მირიან ფხალაძის თავმჯდომარეობით, მალხაზ აფციანურს ექვსი წლით და თამაზ მწითურს ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ქონების კონფისკაციით, სასჯელის საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით!

ლილი მაისურაძე-მორგოზია

დენიხუტი

ნახ. გიბ კიკალაიშვილისა



— მამა, წავიდე, ჩავაბარო გამოცდები?!
— იწევი, შვილო, მე უკვე ჩავაბარე!

ნახ. გიბ კიკალაიშვილისა



— ვფიქრობ, უთქმელადაც ვასაგები უნდა იყოს, თუ რას მოვითხოვ თქვენგან!



„მებროს სადგურ „300 არაგველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კაფეში (რაისაწყების გაერთიანება № 244) იყიდება ლუდი, ირღვევა საბჭოთა ვაჭრობის წესები, სადგურის მიმდებარე ტერიტორია კეთილმოუწყობელია, იზვიათად გააქვთ ნაგავი“.

— გვწერდნენ თბილისიდან. სახალხო დეპუტატების 26 კომისიის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის 1986 წლის 15 აგვისტოს ბრძანებით აღნიშნულ კაფეს

აეკრძალა ალკოჰოლიანი სასმელებით (მთა შორის ლუდით) და სოსისით ვაჭრობა. საბჭოების რაიონულ ტრესტს დავევალი უზრუნველყოს კაფეში წვენიებითა და საკონდიტრო წყლებით, ნაყინით და საკონდიტრო ნაწარმით ვაჭრობის გაფართოება.

№ 90 საბინაო-საექსპლუატაციო უბანსა და რაიონმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებას კონკრეტულად დავევალი აღნიშნული ტერიტორიის კეთილმოწყობა.

X X X

„ქალაქგაბროვის“ სისტემაში დარღვევებს აქვს ადგილი“. — გვწერდნენ ქ. ცხაკაია დან. საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომმა ამის თაობაზე გვეცნობა: „ქალაქგაბროვის სისტემაში შემჩნეული დარღვევა-დამახინჯებათა ფაქტების შესახებ იმსჯელა რაიკომის ბიურომ და დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა „ქალაქგაბროვის“ დირექტორის მოადგილე ნ. გვახალოია, კადრების განყოფილების უფროსი გ. ჯიქია. აგრეთვე გაათავისუფლდნენ გამგე-გამყიდველები იმ მალაზიებისა, რომლებშიც ადგილი ჰქონდა დარღვევებს“.

X X X

„ბავთისხვევის სასუფლო სკოლის ცენტრალური გათბობის სისტემა არ არის გამართული, 1985 წლის საშემოდგომო სამუშაოების შესრულების დროს გამოიწვევებული თანხის გაცემა მოსწავლეებზე დაგვიანდა.“ — გვწერდნენ სოფელ კავთისხევიდან.

რედაქციამ წერილი რეაგირებისათვის გადაუგზავნა საქართველოს კპ კასპის რაიკომს, საიდანაც გვიბასუხეს: „აღნიშნული თანხა, რომლის გაცემაც დაგვიანდა სკოლისა და მეურნეობის ხელმძღვანელთა დაუდევრობით და უყურადღებობით, გამოტანილია 1986 წლის სექტემბერში და მთლიანად გადაარცხულია ჩერნობილის დახმარების ფონდში. საქვებში წარმოქმნილი დეფექტების გამო სკოლის ცენტრალური გათბობის სისტემა გამართულად არ მუშაობდა. 1986 წლის მაის-ივნისში საქვებზე კაპიტალურად შეკეთდა და ხარვეზები აღმოიფხვრა“.

X X X

„წესბაზონის რაიონის კვლითის მუშათა ახალ დასახლებაში მშენებარე მსართულიანი სახლი დაინგრა. რატომ დაინგრა სახლი, ან რა ბედი ეწია სახლის ნანგრევებს?“ — გვეკითხებოდა მოქალაქე ვ. ტყეშელაძე.

სახალხო დეპუტატების ზესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომმა ამის თაობაზე გვიბასუხა: „წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეა. 1980 წლის 30 დეკემბერს ღამით მოსული ძლიერი წვიმისა და გრივალის შედეგად ჩამოინგრა კვლითის მუშათა ახალ დასახლებაში მშენებარე 9-სართულიანი სახლის კუთხის ნაწილი, რამაც შენობის დეფორმაცია გამოიწვია. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მიერ გამოყოფილი კომისიის დასკვნით დაშლილ იქნა შენობა, უვარგისი ნანგრევები მთლიანად გადაიყარა, დაუზიანებელი კონსტრუქციების ნაწილები კი სხვა ობიექტების მშენებლობისათვის გამოიყენეს. სამშენებლო მასალის ნანგრევები დატოვებულ იქნა ადგილზე, რადგან იმავე საძირკველზე გათვალისწინებულია ახალი შენობის აგება“.

ეს დაიხსოვს, ძმობილო!..

კაცი ლოთი და უქნარა
ჩვენგან დაგმობის ღირსია!
ის, ვისაც შრომა არ უყვარს,
კაცია მუქთა, ნისია, -

არც შინ შრომობს და არც გარეთ,
სხვის ხარჯზე ყოფნის მსურველი,
ეს დაიხსოვე, ძმობილო! -
მისგან სიკეთეს ნუ ელი! -

საკუთარ თავზე უმეტეს
შეჰყვარებია არაყი,
სხვისი ბედელი სახევა,
მისი - დაცლილა ბარაქით!

ქურდობით, წამგლეჯეულობით
სურს ყოფნა ჩვენთან ერთადა,
ბახუსი მიუჩნევია
თავის სადღოცა ღმერთადა.

სულიერ დინასამიქა



უსიტყვოდ

„მისიგრაფი“

იუმორისკა

- დივიტაური, დამპიტიური,
აქეთ მანეთი, იქით შაური!..

უსინათლოთა საზოგადოების კულტურის
სახლის სცენაზე მგრხერულვაშა და წელ-
წვრილი კაცი ტრიალებს, ხან ცერებზე აი-
წევს, ხანაც ორბივით უვლის გარს ანარნა-
რებულ ასულს, რომელიც ყელგადადებით
და რალანაირი მეტყველი მზერით აჯა-
დოებს დარბაზის ერს - ჭაბუკებსა და
მსცოვნებს... უცებ ნიაღვრავით დაძრული
მოცეკვავე მოკლეზე გადაჭრის სცენას და
ლამისა დაჯახოს ასულს. ასული, თავის
მხრივ, კონტად აიქნევს სხეულს და მანამ,
სანამ გაეცლებოდეს მდევარს, მოხერხებუ-
ლად, ჩუმად გადაუგდებს: „გევიდა შვიდი
წუთი...“ ორივენი სხვადასხვა მხარეს აქე-
თებენ გულწარმტაც ირაოს და მაყურებელ-
თა ტაშის გრიალში ამთავრებენ ცეკვას. შემ-
დეგ კი ელვის სისწრაფით უჩინარდებიან
კულისებში.

დარბაზში ისმის „ბრავოს“ ძახილი და
არის გაუთავებელი აპლოდისმენტები. ჯეელ-
ები ყელს იწვდენენ, აცალეთ, მადლობის
სათქმელად გამოვლენ ქორეოგრაფებიო,
მაგრამ ამაოა მათი წადილი, რადგანაც
ვანოსა და ეთერას კარგა ხანია ძველებური
„პობედა“ გამალებით მიაგლეჯებს ტყავის
ქარხნის კლუბისაკენ, სადაც 16 საათსა და
23 წუთზე მათი შვიდწუთიანი ნომერი უნდა
წავიდეს.

- რამდენი მოცვა? - კითხულობს
ეთერა.

- თვრამეტი! ორი მანეთი შეიტყაპუნა!..

- ჭირში და უბედურებაში ის ორი მანე-
თი მაგ დასამიწებელს! - ბოოქრობს ქალ-
ბატონი და ცოტა ხნით ყუჩდება.

მათი ქორეოგრაფიული ნომერი საუკეთე-
სოა და, ბუნებრივია, ყველა სიამოვნებით
იწვევს სხვადასხვა ღონისძიებებზე. კარგი
რომაა, იმიტომ უხდინან შვიდწუთიანი ნომერ-
ში ოც მანეთს.

- ნახე? - კითხულობს ცოტა ხნის მერე
ქალი.

- კი! - მიუგებს ვანო.



- როგორი გაცვეთილი პიჯაკი ეცვა!..
გახსოვს, საშინაო დავალებასაც კი არ გვა-
წერიებდა ხოლმე. სულ ხუთები ჰქონდა!..
რისთვის გამოადგა?! იყოს და უყუროს
თავის ძველ ხუთებს!.. პირველ რიგში კი
იჯდა.

- კარგი თანამდებობა ჰქონია თურმე.

- რა თავში ვისლი თანამდებობას, თუკი
არ გამოვოყენებ? ის თვეში იღებს ას ორ-
მოცდათს, ჩვენ კი ხშირად ერთ დღეშიც
გავგოკეთებია მაგდენი.

ავტომ მკვეთრად დაამუსრუჭა კლუბის
შენობასთან.

- რომელია? - კითხულობს ქალი.

- ხუთის თხუთმეტია.

- კი დროა, საბჭოთა მეურნეობაში რო-
მელზე უნდა ვიყოთ?

- ზუსტად ხუთზე.

ქორეოგრაფები ფაცხაფუცხით შერბიან
კლუბის უკანა კარში, ხოლო რალაც ათიოდე
წუთის შემდეგ მაყურებლებით გატენილი
დარბაზი, აღფრთოვანებული და სულგანაბუ-
ლი, გაფაციცებით ადევნებს თვალს ხელოვ-
ნების ორი რიგითი მსახურის მიერ სცენაზე
დანთებულ ცეკვის ქარიშხალს...

კულისების სიღრმეში პროფკომის თავმჯ-
დომარე კლუბის გამგეს ორ ათმანეთიანს
აძლევს ხელში და ეუბნება: - რო დაამთავ-
რებენ, მაგ ვირინვილს მიეცი ესა! - და
უთითებს ვანოსაკენ, რომელიც ცერებზე
შემდგარა და გულშემტაცებლური ღიმილით
უახლოვდება ანარნარებულ ფერას.

გრიგოლ რუსანი

ილუსტრაციები ი. დუნდასნი



91
10.11



შეშინებუკა

საბურთალოს ქუჩაზე წვიმდა, იყო თავსხმა, როცა ჩამოიქროლა სამარშრუტო ტაქსმა. რაზედაც მოგახსენებთ, მოხდა სწორედ მაშინ: გამოტოვა ყეფით მოდიდებულ ღვარში, ყურიც კი არ ათხოვა პატრონის ხშირ ძახილს და ზედ შუა ქუჩაზე გამოვარდა ძაღლი!.. სწრაფი ტაქსი სწორედ მისკენ, სწორედ მისკენ მოქროდა, წვიმის წვეთებს ცივი ჟრღოლა და სისველე მოჰქონდა. უამრავი ხალხი ნაღდად დრამის მოწმე ხდებოდა — სამარშრუტო ტაქსი ჰა, ჰა და... ძაღლს ეჯახებოდა!.. ჯიშინი ძაღლი იყო, წმინდა ჯიშის კურცპაარი, (წვიმა ასფალტს ეცემოდა, როგორც ცრემლის კურცხალი).

მოშიშვნიმე კანი ჰქონდა და ლაქები ფართონი (თხუთმეტ თუმნად იმ ძაღლს ძმას არ დაუთმობდა პატრონი). მაგრამ რაა?! — ხალხი ნაღდად დრამის მოწმე ხდებოდა, სამარშრუტო ტაქსი ჰა, ჰა და... ძაღლს ეჯახებოდა!.. საქმე ფასშიც ხომ არ არის, განა ფულით ფასდება ის სიცოცხლე, ძაღლს რომ აქვს, ან — სხვა სულიერ არსებას? ჯიშო მართლა კარგი ჰქონდა — წმინდა სისხლის კურცპაარი! (წვიმა ისე წკანწკარებდა, როგორც ცრემლის კურცხალი).

ხსნის გზა უკვე სხვა არ იყო და შევძახე: „აქსი!“ გახტა ძაღლი და გადარჩა ძაღლიცა და ტაქსიც. ... საბურთალოს ქუჩაზე წვიმდა, იყო თავსხმა, როცა ჩამოიქროლა სამარშრუტო ტაქსმა. რაც ზემოთ მოგახსენეთ, სწორედ მაშინ მოხდა, მართლაც ბეწვზე გადარჩა კურცპაარი კოხტა. ტაქსის მძღოლმაც, რა თქმა უნდა, დაკოჟრილი ხელით გამოალო ტაქსის კარი და მადლობა წრფელი გადინადა, შემდეგ მღელვარებით სავსე გაეშურა ძნელ და სიფათიან გზაზე. ხოლო კურცპაარი, ეს ძაღლების მეფე, მიესალმა ყველას ხმამაღალი ყეფით. მაგრამ, ზოგი კაცის საქციელი მწუთხე გაანელებს ასეთ ხალხისიან წუთებს. რბილად რომ ვთქვათ, ნამდვილად ვერ მოიქცა ლამაზად და ხეპრული საქციელით ყველანი გააბრაზა — ძაღლს რომ ახლდა (პატრონმა?), იმ მაღალმა კაცმა. არა იმიტ, რომ მადლობის სიტყვაც კი არ დასცდა, არა! (მართლაც ვის უნდოდა ერთი მისი მადლობა?!). კურცპაარის მოფერება არც არავის ადროვა, თავხედურად, მკვანედ, მჭახედ, გამომწვევი რისით, ვილაც მოიხსენია უკადრისი სიტყვით, ღვარძლიანად შეხედა ჩავლილ ავტომანქანას, მაგრამ სჭიდა ხელი ძაღლს და შინისკენ გააქანა.

ნოდარ გურუშიძე



შეშინებუკა

სუსხიანი ზამთარი იდგა.


ტყის ფრინველები გასათბობად ხშირი ფრენით შევლოდნენ თავს. უცებ ამ ტყისთვის უცხო ფრინველი თოვლიან მიწაზე უძღურად დაეცა. ბუმბულგამიშვლებულ, სიცივისგან გალურჯებულ, ილაჯგაწყვეტილ საბრალო ჩიტს ფრენის გაგრძელება აღარ შეეძლო!.. ამ საცოდაობის დანახვაზე ფრინველები ჯერ შეცბნენ, მერე იმწამსვე დატრიალდნენ: უბედურებაში ჩავარდნილი ხომ მათი მოძმე იყო?!

ბუდე გაუთავისუფლეს, ერთმანეთში ბუმბული შეაგროვეს და შემოსეს.

ერთი სიტყვით, თავიანთი მასპინძლობით ფეხზე დააყენეს და მანაც მალე გააგრძელა გზა.

ცოტა ხნის შემდეგ ტყის ფრინველები კვლავ გოცდნენ: იმ დალოცვილ სტუმარს ამ ტყეში კომისია გამოეგზავნა — საიდან გააჩნდათო ამ ფრინველებს ზედმეტი ბუმბული?!

ანდრო კოკოლია



ეჭილანი

იუმორისაჲ

სასხალლო სამზადისმა ისე დაქანდა, რომ ჭამის თავიც აღარ მქონდა, ვიდრე სამზარეულოში და აღარ ვიცოდი, რისთვის მომეცა ხელი.

ანაზღად ბედნიერმა აზრმა გამოიღვა - კეთილმომსახურების ბიუროში დავერკე:

- ერთი კომპაქტური რობოტი ან კომპიუტერი მჭირდება, შინამოსასხარედ დაპროგრამებული.

- დაგვეყვინდათ, ბატონო! უკვე ყველა განაწილებულია! თუ რომელიმე მათგანი ადრე დაბრუნდა, აუცილებლად გამოვავაზავთ!

- სათუოდ საქმეს ვერ დავიჭერ, წარმომადგენლობით სუფრას ვაწყობ! - მიუვება გულდაწყვეტილად.

- მაშინ თქვენი ლიფტების საოპერატოროში მიბრძანდით და „ეგმა-201“ იკითხეთ, ბოლო თაობის ელექტროგამომთვლელი მანქანაა, ოღონდ თქვენ „ეგმას“ ნუ დაუძახებთ და ნურც ნომერს უხსენებთ, შინაურულად ღინა ჰქვია, სახალლოდ მანდ მორიგეობს და შეთავსებით მოგემსახურებათ.

საოპერატოროში ელგანტური გარეგნობის ქალი-შვილი იჯდა მაგიდასთან და მართვის პულტს ადევნებდა თვალს. ჩემს კითხვაზე თავი ასწია და მომხიბლავად გამიღიმა.

- ღინა მე ვარ. - მომწვანო თვალები შემომანათა. ჩემი გაჭირვება ავუსხენი.

მეურნეობის მოვაწესრიგებ და ახლავე მოვალ, მითხრა უბრალოდ და მართვის პულტზე მწვანე კლავის დააწვა გრძელი თითით.

შინ დავბრუნდი; კვლავ სამზარეულოში შევედი და უმწეოდ დავყურებდი მაგიდაზე დაზვიანულ სორაგულს.

ეგმა, იგივე ღინა, მალე მოვიდა, მაგრამ მისი გამოჩენა სულაც არ გამხარებია, რადგან თავიდანვე ეჭვი შემიპარა მის დიასახლისობაში.

შემოვიდა თუ არა, მაშინვე ზედა ტანსაცმელი გაიხსადა, წინსაფარი მომთხოვა, მერე სორაგულს გადახედა და გაოცებულმა მკითხა:

- ქორწილი გაქვთ?

- არა, ჯერ მხოლოდ საცოლვე, მისი მშობლები და შინაბერა მაშიდები მყავს მოწყვეული, უნდათ, ბინა დამითვალღირონ და საბოლოოდ გადაწყვიტონ საქმე.

- ამდენი სორაგი რომ გვექონოდა, ალა-მაჰმად-ხანის ლეშქარს მოვიგერიებდით, - თქვა მეოცნებედ და საანგარიშოს კოჭებივით გადათვალა თვის ბოლოკის ფეშსოები დააჯამა, - ყველა დამპყრობელი სარკის წასართმევად მოიწევდა, მისი გულისათვის გვაწიოკებდნენ, სოციალურად ბავშვებსა და ქალებს!.. აქ კი ხუთ კაცზე ამდენი!..

- ღინა, არ გინდა ეგეთები, საქმეს მიმიხედ!

ღიმილით დამამშვიდა და დატრიალდა. ტანთხელსა და მწვანეთვალეობას თეთრ ხილბანდში აეკრიფა ფერფლისფერი თმა, შესასურის სისწრაფით აკეთებდა, რასაც ხელს მოჰკიდებდა. დათქმულ დროს ყველაფერი მზად იყო.

- როცა დასსდებიან, შევვხვავ და აღნაგობის მისხდვით შევურჩევ მენიუს, - მეთათბირებოდა, - ყველაფერი აგერ იმ სათადარიგო მაგიდაზე მაქვს დახვავებული, - ლოჯისაკენ გამახედა.

მალე სტუმრებიც გამოჩნდნენ. უწინ სასიდედრო შემოვიდა და ჭრილი აუყენა პარკეტს, ჯერ ჭაღები შეათვალღირო, მერე - ავეჯი, მუღელს უკან დაჰყვებოდა, შინაბერა მაშიდები ჩემს საცოლეს ეტუტუნებოდნენ.

სუფრას რომ მივუსხედით, სასიამორო იკითხა:

- რომელ სართულზე ვართ?

- პირველზე ალბათ! - ოხვრით ამოაყოლა სასიდედრო.

- როგორ გეკადრებათ, მესუთა. - თავაზიანად შევნიშნე.

- სუფრაზე ამბობენ, - ბუტყუცუნა ლოჯაზე შემოიდო ხელი უფროსმა შინაბერამ, - ბატონი გრიშა შედისართულიანზე ნაკლებ სუფრასთან არასოდეს ჯდება, აქ კი მხოლოდ ერთ სართულად აწყვიდა საუზმინა თუფები.

ამასობაში ეგმა სათითაოდ შეათვალღირო სტუმრები და ყოველი მათგანის წინაშე დაღო „სანიმუშო უალკოპოლო მენიუ ჭარბწონიანთათვის“.

- რა გქვია და რამდენი წლისა ხარ? - წარბი შეიკრა ჩემმა სასიამორომ და ღინას შეხედა.

- წლოვანებას ქალებს არ ეკითხებიან!

- არც ჰქვას! - შეუბღვირა სასიამორომ, - მით უფრო, მოახლეებს! - მე გადმომხედა და მაგრძობინა, ეს ქაჯი აქ რამ შემოგაყვანიანო?!

მაშინვე წამოვდექი და თავაზიანად ვთხოვე ღინას, ახლა წადი და დილით ისევ მოდი, ჭურჭელს მიმიხედე-მეთქი! წყენა არ შეიმჩნია, თავი დაგვიკრა და გავიდა.

- შედისართულიანი მაგიდაც მაქვს, - შევცინე სასიამოროს და ლოჯისაკენ გავახედე, - ახლავე აქით გადმოვალაგებ.

- არ გინდა გადმოლაგება, მშვენივრადაა გაწყობილი, ჩვენ გადავიდეთ იქით! - სასიდედრომ ოქროსპილებიანი ღიმილით გამონათა.

ლოჯიაში გადგმულ მაგიდას მივუსხედით და ქუდი ჭერს ვკარი. ნამუღამევს, როცა სტუმრებმა ყველაფრით გული იფურეს და აიშლნენ, სასიამორომ მკლავში ხელი მომკიდა.

- დანარჩენზე დილით, ნამცეცხობაზე ვილაპარაკო!

სტუმრები გავაიღვე, ცოტა წავუძინე და უთენია ეგმა გამოვიძახე. მაშინვე მოვიდა, აკლებულ სუფრას დახედა და გულთან მიიტანა ხელები...

- მეელი რომ ფარაში შევარდებო, ასჯერ მეტს აფუჭებს, ვინმე ჭამს, - ამოიხრბა, - ჩვენს მეფეებს ყოველთვის უჭირდათ სარკის გადახდა, ახლა კი მრავალსართულიანი სუფრებია მოღაში, ერთი სტუმარი ათი და ოცი კაცის სამყოფ ულუფას ებატონებოდა, შის და ამ მრავალფეროვან წილისეულს გეოლოგივით ქეპავს, აქა-იქ უმადოდ ამოკენკავს, დანარჩენი კი ფუჭი ქანივით სანაგვეზე მიაქვს პატრონი. განგაროშე-ბულია, რომ ჩვენს ქვეყანაში თუ ყოველი ოჯახი ას გრამ პურს გააფუჭებს, ეს 130 პურის ქარხნის დღიურ პროდუქციას შეადგენს და ამხელა სიმდიდრე სანაგვეზე მიგვაქვს გადასაყრელად!.. აქ კი, ათი კილო პური მაინც არის გაფუჭებული და ასეა ახლა თითქმის ყველა ოჯახში!..

- კარგი, ღინა, ახლა სტუმრების მოსვლის დროა!

- სტუმრებს დაბლა უნდა ჩაეგებოთ, ლიფტი არ მუშაობს!

სუფრა ხელახლა გავაწყვეთ და დაბლა ჩავედით.

სულ მალე „გაზ-24“ მოგრიალდა. ჩემმა სასიდედრომ რომ გაიგო ლიფტი არ მუშაობსო, ქმარს გადალაპარაკა, უკან გაბრუნდითო! ფეხებში ჩავევარდი. მერე მე და ღინა მხარში ამოვუდევით ცოლ-ქმარს და კიბეს შევუყვით. ჯერ მეორე სართულზე ვიყავით, რომ სასიდედროს სროტიანი აუჯარდა და მალე სასიამოროც სწვნივით შედგა ჩემ წინ!..

- გაგათამაშე ხომ ამ ხნის ხალხი?! - კამეჩის თვალები გადამიტრიალა.

- დარჩი და იყავი მაგ შენს მწვანეთვალეა ქაჯთან! - გულზიზღად მითხრა სასიდედრომ და პირი იბრუნა.

ეგმას შეხედე - მან თვალი ჩამიპატუნა და სიცილი წასკადა.

- მომილოცავს, სარკისგან გაგათავისუფლებ! - მითხრა და აღმა შეუყვავ კიბეს, - წავალ, ლიფტს ჩაჯოვ! შენც აგირჩევია საცოლვე რალ! მისიანებს თითო ფუთი ქონი წამოკიდიათ და ძლივს დაათრევენ, შენს მომავალ ცოლსაც ქონით ამოვესება დედის წილი. შენ რომ ორსული გეგონებ, ის სიკვდილამდე უცვლელად ატარებს გაბერილ მუცელს.

უკან მივდექე და ჩემი ბინის კართან შევაჩერე.

- ეგმა!.. ღინა!.. ეგმალიონ!.. შენ შესანიშნავი გოგო ხარ; ჰქუის კოლოფი და ძალიან საყვარელი!.. შემოდი!..

- ეგეთი მაშინ ვიქნებოდი, დედობა რომ შემეძლოს... ნამდვილი დედობა! იქნებ კიდევ დავრჩენილიყავი შენთან!.. - აწეწილთმიანი თავი მკერდზე მომაყრდნო და აცრემლდა.

მე მხარზე ხელი მოვხვიე, მივიზიდე და ლოჯაზე ვაკოცე. ხელიდან დამისხლტა.

იმავე წამს ლიფტის კარი გაიღო და ზევით გააქანა ჩემი ეგმალიონი.



საბირის და ეჭილანის
ურხანო ნინოზიძე
(1732), იანვარი, გამო-
ლის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
პარტია ამირჯიბი, ნოზლი
ბართაია, ბორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჭემალ
ლოლა, ნოდარ მაღალაშვილი
(მხატვარ - რედაქტორი),
ალექსანდრე სამსონია, ბე-
ჟან სინარულიძე, (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ქანსუდ ჩარკვიანი, თამაზ
წიფიძე, ნათი ჭუსთოია.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი ღუნდუა

გადაცა ასაწყობად
19. 12. 86 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 19. 1.
87 წ. ქალაქის ზომა
60X90/8. ფონიკური ნაბე-
ჭდი ფურცელი 1,5, საად-
რეცეპტ-საგამომცემლო თა-
ბახი 1,9, საქართველოს
კბ ცკ-ის გამომცემლობა,
უენის 14. შეკვ. 2922
ენი 04010 ტირაჟი 143.000.
ქურნალი გამოდის თვეში
ორჯერ. რედაქციაში შემო-
სული მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტილფონები: მთავარი
რედაქტორის - 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის -
93-19-42, პ/მგ მდივნის -
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის - 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგებების -
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუსიკების - 99-02-38,
მდივან-მემაქანის -
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке) Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издатель-
ство ЦК КП Грузии,
типография издательства
ЦК КП Грузии, Тбили-
си, улица Ленина № 14.

ინდექსი 76137
ფასი 20 კაპ.


ელგუჯა მერაბიშვილი



განნიჭური 12 სავისსავი



სკამი ღირებულ კადრებისათვის





სკამი სწინააღმდეგო მოსაზრებათა წარმოგადგენელთათვის


სკამი იმის გასარკვევად, თუ ვინ უფრო ვითვარის




სკამი ნახევარუბაბაე მომუშავეთათვის



სკამი უპირსპექტივო მუშაქათათვის





სკამი უარყოფით განწყობილებათა მიღებისათვის



სკამი ვრავანდობილიანი ხედვებისაღმართვის


უპირიგებულ სკამი დევიზით „დრო გვიჩვენებს!“




სკამი ღებებით განწყობილებათა მიღებისათვის



სკამი „ფარღი“ ხედვებისაღმართვის



სკამი დინამიური ხედვებისაღმართვის



სკამი ვოქნიდი ხედვებისაღმართვის

